

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის შეხვედრის 43-ე რაუნდს ეხმაურება“

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადებით, ჟენევის დისკუსიების 43-რაუნდის შეხვედრის შეჯამებისას, რუსეთის საგარეო უწყება, საქართველოს მოუწოდებს, საქართველოს კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ გაუქმებისკენ.

განცხადებაში ვკითხულობთ.

„საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის, 2018 წლის 9 მარტის, იმედისმომცემი განცხადების მიუხედავად, ჟენევის დისკუსიებში საქართველოს წარმომადგენლებმა შეხვედრა პროპაგანდისტულ აქციად გადააქციეს. თავისი გამოსვლა ქართულმა დელეგაციამ „რუსული ოკუპაციის“ გაცვეთილ თეზისზე ააწყო და კვლავ შეეცადა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხში თავისი უუნარობაზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციაზე დაეკისრებინა“.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 43-ე რაუნდი 2018 წლის 27-28 მარტს შედგა.

28.03.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე http://www.mid.ru/ru/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/3144233

„აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის შეხვედრის 43-ე რაუნდის შესახებ“

ჟენევის მოლაპარაკებების 43-რაუნდზე აფხაზეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა დე-ფაქტო საგარეო უწყების ხელმძღვანელი დაურ კოვე. აფხაზეთის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ე.წ. სამინისტროს თანამშრომლები და დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ არლანი.

შეხვედრაზე, აფხაზეთის დელეგაციის ძირითადი მოთხოვნა იყო ძალის არგამოყენების შესახებ ერთობლივი ზეპირი განცხადების მიღება, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯია, საქართველოსა და აფხაზეთს და საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ძალის არგამოყენების შესახებ, იურიდიულად სავალდებულო შეთანხმების ხელმოსაწერად.

თავის მხრივ, ქართული მხარე არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის თემით და მის სიკვდილში არა მარტო სამხრეთ ოსეთის არამედ რუსეთის დადანაშაულებით ყველანაირად ცდილობდა მთავარი საკითხის გადაფარვას. ამასთან ერთად, საქართველო ჩვეულებრივ რიტორიკით აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ „აფხაზეთი ოკუპირებული ტერიტორიაა, კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენს და ძალის არგამოყენებაზე პასუხისმგებლობა რუსეთმა უნდა აიღოს თავის თავზე“.

რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე, რუსი სამხედროების ყოფნას, დაურ კოვემ, განმარტა, იმ დროს, როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან ძალის არგამოყენების შესახებ ზეპირი განცხადების მიღებაზე კი, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ორმხრივი შეთანხმებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე აფხაზეთსა და რუსეთს შორის არსებობს სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც გაგრძელდება და უფრო განვითარდება.

დაურ კოვემ სიტყვით გამოსვლისას ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს მოუწოდა, ანგარიშების შედგენისას უფრო დიდი პასუხისმგებლობით მოპყრობოდნენ ფორმულირებებს, რადგან- „არ არსებობს ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე. არსებობს სახელმწიფო საზღვარი“.

ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფში განიხილეს ჰუმანიტარული თემები. კერძოდ, ეკოლოგიური უსაფრთხოების, კუტურული მემკვიდრეების შენარჩუნების, უზო-უკვლოდ დაკარგულების და განათლების საკითხები.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მომდევნო 44-ე რაუნდის ჩატარება 2018 წლის ივნისს იგეგმება.

29.03.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/othernews/o-43-m-raunde-zhenevskikh-diskussiy/>

„მარია ზახაროვას ბრიფინგი“

2018 წლის 29 მარტს გამართულ ბრიფინგზე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეებისთვის გამარტივებული წესით რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე ისაუბრა.

მარია ზახაროვას თქმით, ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე მიმდინარეობს შესაბამისი ორმხრივი შეთანხმების შემუშავება და დაამატა, რომ აღნიშნული ე.წ. შეთანხმების გაფორმება გათვალისწინებულია, „რუსეთსა და აფხაზეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეობის შესახებ“ 2014 წლის 24 ნოემბრს დადებული ე.წ. ხელშეკრულების მე-13 მუხლით.

29.03.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://apsny.ru/news/?ID=34704>

„რუსეთი აფხაზეთიდან მცენარეული პროდუქციის შემოტანაზე დროებით შეზღუდვებს აწესებს“

რუსეთის ფედერაციის ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამსახურმა, 2018 წლის 24-25 მარტს, ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მდგომარეობა კრიტიკულია.

მონიტორინგის შედეგად რუსეთი დროებით კრძალავს მცენარეული პროდუქციის შემოტანას ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. აგრეთვე, იკრძალება მრავალჯერადი გამოყენების ტარისა და ხისგან დამზადებული შესაფუთი მასალის შეტანა.

ზემოაღნიშნულის შესახებ, „როსსელხოზნადზორი“ იუწყება თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და განმარტავს, რომ შეზღუდვები ამოქმედდება 2018 წლის 2 პრილიდან.

29.03.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.fsvps.ru/fsvps/news/25756.html>

„თემურ ნადარაიას პრეს-კონფერენცია“

29 მარტს, ე. გალის რაიონის ადმინისტრაციის ე.წ. ხელმძღვანელმა თემურ ნადარაიამ ჟურნალისტებისთვის პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც მან ისაუბრა 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, სასოფლო სამეურნეო პროექტებსა და საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებაზე.

საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის შესახებ საუბრისას, თემურ ნადარაიამ განაცხადა, „განათლების აფხაზურ სისტემაზე გადაყვანა უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია. წლების განმავლობაში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, ბავშვები ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახდენდნენ თვითრეალიზებას აფხაზეთის ტერიტორიაზე და საცხოვრებლად გადადიოდნენ საქართველოში. ამ პრობლემის შესახებ იციან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც და თუ ჩვენ ვსაუბრობთ გალის მოსახლეობის ინტეგრაციაზე, უნდა ვიზრუნოთ განათლების საკითხზეც“.

29.03.2018 ვრცლად რუსულენოვან ვებგვერდზე <https://abh-n.ru/temur-nadaraya-o-byudzhete-mramornom-klope-i-yazykovom-barere/>

„აფხაზეთში რუსეთის ახალი ელჩი დაინიშნა“

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ალექსეი დვინიანინის ოკუპირებულ აფხაზეთში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნის შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი.

30.03.2018 <https://ria.ru/politics/20180330/1517618283.html>

„სოხუმის საერთაშორისო კინოფესტივალი“

2018 წლის 2-6 აპრილს, სოხუმში ე.წ. საერთაშორისო კინოფესტივალი ჩატარდება. საკონკურსო პროგრამაში ოკუპირებული აფხაზეთის, რუსეთის, ევროპის ქვეყნების, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის მხოლოდ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები იქნება წარმოდგენილი.

30.03.2018 ვრცლად იხილეთ რუსულენოვან ვებგვერდზე <http://siff-abkh.tv/>

„სოხუმში თომას ჰამერბერგის ანგარიში განიხილეს“

სოხუმში ცნობილი შვედი დიპლომატის და ადამიანის უფლებების დაცვის აქტივისტის, თომას ჰამერბერგის ანგარიში „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სიტუაცია დღევანდელ აფხაზეთში“¹ განიხილეს, რომლის იდეაც 2015 წლის ჟენევის დისკუსიების ერთერთ რაუნდზე წარმოიშვა. მაშინ საერთაშორისო საზოგადოება უჩიოდა ოკუპირებული აფხაზეთის შესახებ ობიექტური ინფორმაციის არარსებობას და სწორედ ამ მიზნით დაიგეგმა კვლევა, რომელსაც უფროსი ექსპერტის რანგში თომას ჰამერბერგი ჩაატარებდა.

კვლევების შედეგად გამოქვეყნებულ ანგარიშში საუბარია ოკუპირებული აფხაზეთის და კერძოდ, გალის რაიონში ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებების დარღვევის საკითხებზე როგორცაა-მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ჯანდაცვა, თავისუფლად გადაადგილება, ქონება, ქალთა და ბავშვთა უფლებები და სხვა.

განხილვას ესწრებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ომბუდსმენი ასიდა შაკრილი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

30.03.2018 <http://www.apsua.tv/rus/video/13189/>

¹ (ანგარიშის რუსულ ენაზე თარგმანი შეგიძლიათ იხილოთ <https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2018/01/ABKHAZIA-HR-RUS-19xii17.pdf>)

„აფხაზეთის სასათბურე მეურნეობები დახურვის პირასაა“

სასათბურე მეურნეობების, ООО „Фруктис“ და ОАО „Мдель“ წარმომადგენელმა, გენადი ბერულავამ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას ისაუბრა ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციაში მცენარეული პროდუქციის შეტანაზე შეზღუდვების რეჟიმის დაწესების მოსალოდნელ შედეგებზე. მისი განმარტებით, სითბოების დადგომის შემდეგ სასათბურე მეურნეობებში მოსავლის რაოდენობა დაახლოებით სამჯერ იზრდება და მცენარეული პროდუქციის რუსეთში გატანაზე შეზღუდვის რეჟიმის გაგრძელების შემთხვევაში, ოკუპირებული აფხაზეთის სასათბურე მეურნეობებს დიდი დანაკარგი ელის.

გენადი ბერულავას თქმით, ისინი აპირებენ მიმართონ დე-ფაქტო პრეზიდენტს და ე.წ. მცენარეების საკარანტინო სახელმწიფო ინსპექციას თხოვნით, დაეხმარონ ამ პრობლემის მოგვარებაში. ბერულავამ დაამატა, რომ მათი სათბურეები დახურული ტიპისაა და ბოსტნეული ღია გრუნტზე არ მოყავთ.

გენადი ბერულავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი პროდუქციის 90% გადის ექსპორტზე რუსეთში და 10-15 % ადგილობრივ ბაზარზე რჩება. სეზონის განმავლობაში სასათბურე მეურნეობა „ფრუქტისს“ 800-900 ტონა, ხოლო „ედელს“ 1000-1200 ტონა ტონა ტონა ტონა მოყავს და იმ შემთხვევაში,

თუ ისინი ვერ შეძლებენ პროდუქციის რეალიზაციას რუსეთში, ისინი იძულებულნი იქნებიან დახურონ მეურნეობები.

02.04.2018 <http://apsnypress.info/news/teplichnye-kompleksy-abkhazii-na-grani-zakrytiya/>

„რუსეთისა და აფხაზეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები“

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, 2018 წლის 2-15 აპრილს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 49-ე არმიისა და ოკუპირებული აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ერთობლივი სამხედრო წვრთნები გაიმართება.

დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული წვრთნებზე, პრაქტიკულად მუშავდება საკითხები, რომლებიც რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დადებულ „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულებაშია მოცემული.

აგრეთვე, ე.წ. ერთობლივი წვრთნების დასაგეგმად, ოკუპირებული აფხაზეთის მხრიდან, ჩართულნი არიან დე-ფაქტო შსს-ს, დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და დე-ფაქტო საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფები.

02.04.2018 <http://mdapsny.org/news/2018/04/02/sovместnoe-uchenie-vooruzhennyx-sil-respubliki-abxaziya-i-49-j-obshhevojskovoj-armii-vooruzhennyx-sil-rossijskoj-federaczii/>

„სოფლის მეურნეობის მინისტრის ინტერვიუ“

ოკუპირებული აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, დაურ ტარბამ, ჟურნალისტებთან ინტერვიუში ისაუბრა მიზეზებზე, თუ რატომ ვერ ეხმარება 2018 წელს ე.წ. სახელმწიფო გლეხებს მიწის დამუშავებაში.

ე.წ. მინისტრის თქმით, მიმდინარე წელს უფასო ხვნის პროგრამა შეწყდება და მისი განმარტებით, ეს განპირობებულია დე-ფაქტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის შეკვეცით.

დაურ ტარბამ აღნიშნა, რომ შარშან, ე.წ. უფასო ხვნის პროგრამის ფარგლებში, ათვისებული იყო 3 040 ჰექტარი მიწა. აგრეთვე, ე.წ. მთავრობამ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის, უფასოდ დაურიგა საწვავი რომლისთვისაც დე-ფაქტო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 5 500 000 რუბლი.

ე.წ. მინისტრმა დაამატა, 2018 წელს, ფინანსების არარსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძლებთ ასეთი აქციის ჩატარებას. წელს ე.წ. სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს მარტოხელა დედების, მრავალშვილიანი და ე.წ. ომში დაღუპულების ოჯახების დახმარება.

04.04.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180404/1023573221/besplatnoj-vspashki-zemel-dlya-krestyan-v-etom-godu-ne-budet.html>

„აფხაზეთის დელეგაცია მოსკოვის ეკონომიკურ ფორუმზე“

2018 წლის 3-4 აპრილს ე. მოსკოვში ეკონომიკური ფორუმი (МЭФ-2018) ტარდება. ფორუმს ესწრებიან, ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ბატალ ტარბა, „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორი ასლან ბასარია და სხვა ოფიციალური პირები.

დე-ფაქტო მინისტრის თქმით, „ფორუმი, თავისი შინაარსით, წარმოადგენს სადისკუსიო ველს, სადაც მეცნიერები, ექსპერტები და მეწარმეები მსჯელობენ სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციის შესაძლებლობებზე, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ზრდის ეკონომიკურ პროგრამებზე. აგრეთვე, ფორუმზე განიხილება ფულად-საკრედიტო და

საგადასახადო თემები, საინვესტიციო პოლიტიკის, ბიზნეს გარემოს, გლობალური გამოწვევების და უსაფთხოების საკითხები“.

ბატალ ტარბას განმარტებით, მოსკოვის ეკონომიკური ფორუმის თემატიკა, შინაარსობრივად ძალიან ახლოსაა ოკუპირებულ აფხაზეთთან, რადგანაც ფორუმზე განხილული პრობლემები, ძალიან გავს იმ პრობლემებსა და ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა მათთვისაც მნიშვნელოვანია.

04.04.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mineconom-ra.org/ru/news/712/>

04.04.2018